ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲕ, ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲕ!

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 24 ნოემბერი. (საქდესი). ქუთაისის ხამრწველეო საწარმოთა კოლექტივებმა ახალი წარმატება მოიპოვეს სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში. 22 ნოემბერს მრწველეობამ გადაჭარბებით შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამომვების 11 თვის გეგმა. საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიეს სატრანსპორტო, მინის ტარის, საკონსერვო ქარხნების კოლექტივებმა. ქუთაისელმა მეკონსერვეებმა 5 მილიონი ქილა კონსერვი გამოუშვეს მომავალი წლის ანგარიშში.

ახლა საწარმოებში გაიშალა შეჯიბრება წლიური გეგმის 15 დეკემბრისათვის შესასრულებლად.

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ რაიონის მშრომელებმა 104,8 პროცენტით შეასრულეს ყურძნის დამზადების წლიური გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 6.600 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 6.915 ტონა ყურძენი. (საქდესი).

ᲓᲘᲓᲘ შრომითი აღმავლობაა ამ დღეებში რესპუბლიკის სამკერვალო მრეწველობის ერთ-ერთ უდიდეს საწარმოში — თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკაში. სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საწარმოს კოლექტივი კიდევ უფრო თავდადებით შრომობს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

მკერავებმა წარმატებით შეასრულეს ათი თვის საწარმოო დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 24.000 მანუთის პროდუქცია.

ამ საწარმოში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ჭსოვილების რაციონალურად ხარჯვის საქმეში. წლის დამდეგიდან დაზოგილია 75.000 მეტრი სხვადასხვა სახის ჭსოვილი.

ახლა საწარმოში ფართოდ გაშლილია ბრძოლა წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ᲐᲒᲐᲠᲐ. (საკ. კორ.). შაქრის კომბინატის კოლექტივმა მიიღო გადაწყვეტილება — წლის ბოლომდე განაგრძოს "სოციალისტური შეჯიბრება XXII ყრილობის აღსანიშნავად.

მაღალნაყოფიერ შრომაში დაწინაურდა კ. დახოვსკის ცვლა, რომელიც დავალებებს დიდი გადამეტებით ასრულებს. ყოველდღიურად 500-600 ცენტნერი შაქარი! — ასეთია ამ მოწინავე ცვლის ახალი ვალდებულება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მოწინავე ზეინკალი ა. გარდავაძე, რომელიც ყოველდღიურად 1,5-2 ნორმას ასრულებს.
ფოტო ვლ. გინზბურგისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 268 (12182) | შაბათი, 25 ნოემბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲬᲐᲠᲗᲝᲚ ᲒᲖᲐ!

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ შრომა და ნებისყოფა სასწაულებს ახდენს. ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი შექმნილია შრომით და ყველაფერი ადამიანთა ბედნიერებას ემსახურება. ჩვენი ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთი პირობა ისიც არის, რომ მოწინავეთა შრომის მეთოდები ხალხის კუთვნილებაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალ პროგრამაში აღნიშნულია, რომ ძმალავრ მრეწველობასთან ერთად სოფლის მეურნეობის აუცილებელ და ყოველმხრივი განვითარება კომუნიზმის აშენების აუცილებელი პირობაა. მშობლიური კომუნისტური პარტია სახავს ამოცანას მიღწეულ იქნას სოფლის მეურნეობის პროდუქტების სრული სიუხვე საბჭოთა ადამიანებისათვის, ნედლეულისა — ბუხუნაი და კვების მრეწველობისათვის. ამას შეიძლება მივაღწიოთ მოწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ჩქარი აღმავლობით, ყოველი ჰექტარი მიწის რაციონალური და ინტენსიური გამოყენებით.

როგორც ცნობილია, მოწათმოქმედების კულტურის ძირითადი მაჩვენებელია ნათესი ფართობების სწორი სტრუქტურა, მცირემოსავლიანი კულტურების შეცვლა სასეთი კულტურებით, რომლებიც მყარ, ხუნ მოსავალს იძლევიან. ჩვენს რესპუბლიკაში არის იმის ყველა შესაძლებლობა, რომ ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში უხვი მოსავალი მიიღოთ. ამისათვის საჭიროა ზუსტად დაიცვათ დადგენილი აგროტექნიკური წესები, ფართოდ დანერგოთ პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება.

ვინ უნდა გასწიოს მეცნიერების მიღწევებისა და შუქურების გამოცდილების ერთმანეთან?

ამ კითხვაზე პასუხი უნდა გასცენ სოფლის კომუნისტებმა, ოლქიკომი და რაიონების კომუნისტურმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შემდეგ ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა 55 საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა. ისინი შეიქმნა მოწინავე კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სასწავლებლების საექსპერიმენტო მეურნეობათა ბაზაზე.

რა ევალებათ საცდელ-საჩვენებელ მეურნეობებს?

საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების მუშაკთა ვალია ფართოდ დანერგონ წარმოებაში საბჭოთა აგრონომოტექნიკური მეცნიერების მიღწევები, ნოვატორთა შრომის მეთოდები. თუ გვინდა, რომ ეს მეურნეობები თავიანთ სახელწოდებას ამართლებდნენ, ისინი ჯერ თვითონ უნდა გახდნენ საჩვენებელი. ამის შემდეგ მათი მოქმედების რაიონებისათვის დადგენილი და აღიარებული აგროსოფტექნიკური წესები, შუქურების შრომის მეთოდები რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაინერგება.

საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების შექმნიდან თითქმის შვიდი თვე გავიდა. ახლა უკვე ვიცით უფლება მოვთხოვოთ მათ, რა გააკეთეს, რით შეუძლიათ ისახელონ თავი, ამართლებენ თუ არა თავიანთ სახელწოდებას.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ყვარლის, ბრეთის, ერედვის, საჩხერის, ზემო მაჩხაანის, ტბიანის, ეშერის, მუხრანის, კრწანისის საცდელ-საჩვენებელმა მეურნეობებმა განვლილ პერიოდში კარგად იმუშავეს. ამ მეურნეობების მუშაკებმა ყურადღება გაამახვილეს ისეთ საკითხებზე, როგორიც არის მიწათმოქმედების კულტურის ამაღლება, წარმოების შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა და დანერგვა, მეურნეობის სწორი ორგანიზაცია და სასელეკციო მუშაობა, სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლა და ა. შ.

უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის ყველა საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა როდი მუშაობდა სათანადოდ. საეჭვოა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რაიმე ისწავლონ ან გადაიღონ ისეთი საცდელ-საჩვენებელი მეურნეობებისაგან, როგორიც არიან ბოლნისის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა, ვაჩიანის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა, არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, თეთრი წყაროს საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა და სხვ. აქ ნაკლები ყურადღება ექცევა გამოცდილების შესწავლისა და დანერგვის ორგანიზაციას, შრომის დისციპლინას, კადრებთან მუშაობას. თეთრი წყაროს საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის მთავარმა ზოოტექნიკოსმა ვლ. ივანოვმა გულახდილად აღიარა, არათუ რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, არამედ ჩვენს მეურნეობასაც ვერ ვემსახურებით, ვინაიდან ჩვენს მეურნეობას ძალიან დიდი ტერიტორია (!) უჭირავს და ტრანსპორტიც არ გაგჩნია. როცა მას უთხრეს, თქვენთან მაინც მოგეწვიათ რაიონის სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, თუ მათთან ვერ მიდიხართო, მან თქვა, რომ მოწინავეთა გამოცდილებაზე რაიონულ გაზეთში აქვეყნებენ სტატიებს და მხოლოდ ეს არის მათი დახმარება. აი თურმე როგორ ეხმარებიან თეთრწყაროელ მშრომელებს საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის მუშაკები.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისეთი მანკიერი პრაქტიკა, როცა ზოგიერთი კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები ერთ ან ორ შუქურას აიჩემებენ და შემდეგ ყველა რაიონულ თუ რესპუბლიკურ თათბირზე ან მათი შრომითი მაჩვენებლებით ტრაბახობენ, ან თვით მათ გამოიყვანენ, რომ აჩვენონ, ნახეთ როგორი შუქურები გვყავსო. ეს თვალის ახვევაა და მეტი არაფერი. მათ ავიწყდებათ, რომ ერთი-ორი შუქურა საერთო წარმატებას არ წყვეტს. ავიწყდებათ, რომ ამ შუქურების გამოცდილება საერთო-სახალხო კუთვნილება უნდა გახდეს. ავიწყდებათ, რომ ამით ისინი საერთო წარმატებას ხელფეხს უბორკავენ. ამიტომაც ზოგიერთი კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა პროდუქტების წარმოების გეგმებს ვერ ასრულებს და მისი ხელმძღვანელები თვალსახვევის, სახელმწიფოს მოტყუების მანეიერ გზას აღგებიან.

პარტიის სასოფლო რაიკომებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სისტემატურად უნდა განიხილონ და შეიღონ სათანადო ღონისძიება იმისათვის, რომ შუქურების გამოცდილება საყოველთაო-სახალხო საკუთრება იყოს, იმისათვის, რომ ყველა ერთობლივად შრომობდეს სახალხო დოვლათის სიუხვის შექმნისათვის.

ᲛᲔᲪᲘᲬᲠᲣᲡᲔᲗᲐ ᲓᲐᲠᲛᲐᲪᲔᲑᲐ

საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში გაჩაღებულია მანდარინის კრეფა. ქარვისფერი ნაყოფი იგზავნება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ბევრმა საბჭოთა მეურნეობამ და კოლმეურნეობამ უკვე მოკრიფა იმაზე მეტი მანდარინი, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული.

დაწინაურდა გალის რაიონის კოხრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა. აქ გეგმით გათვალისწინებული ოთხასი ტონის ნაცვლად უკვე მოკრიფეს 810 ტონა მანდარინი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულა გეგმა გუდაუთის რაიონის ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობამ.

510 ტონა მანდარინი მოკრიფა ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობამ. კი ი ოცი ტონით აღემატება გეგმას. ათობით ტონა ზეგეგმითი მანდარინი მოკრიფა მახინჯაურის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობამ.

წარმატებით მიმდინარეობს მანდარინის კრეფა მახარაძის რაიონში. ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 285 ტონის ნაცვლად მოკრიფა 471 ტონა მანდარინი. გეგმა გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობამ.

20 ნოემბრისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა შეასრულა მანდარინის კრეფის წლიური გეგმა. საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 1.000 ტონა მანდარინი. (საქდესი).

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲣᲦᲚᲔᲚᲘ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ რაიონის სოფელ ხორხის კოლმეურნეობაში 70 წლის კოლმეურნე ილია ძიძიგურაშვილს ყველა იცნობს როგორც მოწინავეს. 25 წელიწადია კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიან პირუტყვს მწყემსავს. ოცდახუთი ზამთარი ისპასს ალაგნის ველზე და ნოლაეთის ტრამალებზე გაუტარებია.

მოხუცი კოლმეურნის საქმიანობა მარტო პირუტყვის მოვლა-პატრონობით როდი შემოიფარგლება. იგი კოლმეურნეობაში მოწინავე მთიბავად ითვლება. წელს მან 100 ცენტნერი თივის დამზადება დაისახა. ბარაქიანი შემოდგომის მოსავლამ ისპასსაც გაუხარა გული. წელს ისპამ 100 ხულ მსხვილფეხა პირუტყვსაც მოუვარა და კოლმეურნეობის პირუტყვს 110 ცენტნერი თივაც დაუმზადა.

Ზ. ᲮᲣᲪᲣᲠᲐᲣᲚᲘ.

ᲛᲐᲗ ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ

ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣᲨᲘ რაიონის სოფელ ლესიჭინის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობაში ალექსანდრე ხორავამ ერთ ჰექტარზე მიიღო 145 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, სოფელ ხაბუმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა რ. კაჭარავამ — 110 ცენტნერი. სოფელ კირცხის მეოცე პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მესიმინდეებმა დვითო კვირტიამ და შალვა ჯიქიამ 60 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე მიიღეს 85-100 ცენტნერი სიმინდი.

Შ. ᲤᲘᲠᲪᲮᲔᲚᲐᲕᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐ

24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრმა დადგა კომპოზიტორ ი. გეჯაძის ოპერა „განთიადი".

დადგმა მიეძღვნა სკკპ XXII ყრილობას. ოპერა ასახავს ჭიათურის მაღაროელთა ცხოვრებას რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში.

ოპერის ლიბრეტო ეკუთვნის გ. მელიავას, დადგმა — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვ. ტაბლიაშვილს. სპექტაკლის მუსიკალური ხელმძღვანელი და დირიჟორია სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი, მხატვარი — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კ. კუკულაძე, ხორმეისტერი — გ. ბუხრაკიძე.

ოპერის მთავარი პარტიები შეასრულეს რ. გორგიძემ, ი. კოკლიამ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. მშვიდლიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ო. კუზნეცოვამ, ტ. ტორონჯაძემ, მსახიობმა გ. ზედგინიძემ და სხვებმა.

მსმენელებმა გულთბილად მიიღეს ოპერა.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ვ. პ. მეჟვანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, დ. გ. სტურუა. (საქდესი).

ᲡᲐᲙᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲒᲐᲗᲝᲗᲐᲕᲘᲡᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲔ. სოფელ კვიტოულის კოლმეურნეობაში მუშაობა დაიწყო ძიჩურინული ცოდნის საკოლმეურნეობათაშორისო უნივერსიტეტმა. მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიურ მეცნიერებას სოფლის მეურნეობის 60 მუშაკი ეუფლება. პირველ მეცადინეობაზე უნივერსიტეტის მსმენელები გაეცნენ სწავლების პროგრამას. შეიქმნა უნივერსიტეტის საბჭო, რომლის რექტორად არჩეულია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. გოგიბერიძე. უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ როგორც ადგილობრივი სპეციალისტები, ისე რესპუბლიკაში ცნობილი მეცნიერები.

მსმენელებმა დიდი ინტერესით მოისმინეს პროფესორ ა. ვასილიევის ლექცია თემაზე „საბჭოთა სუბტროპიკების ათვისება მიჩურინული სწავლების საფუძველზე".

Მ. ᲑᲝᲚᲕᲐ.

ᲛᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲣᲦᲚᲔᲚᲘ

ᲩᲮᲝᲠᲬᲧᲣᲨᲘ. 23 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები გადაეცათ იმათ, ვინაც მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, დამსახურებული მხატვრის, დამსახურებული არტისტის, სკოლის დამსახურებული მასწავლებლის, დამსახურებული აგრონომის, დამსახურებული ზოოტექნიკოსის, დამსახურებული ვეტექიმის, დამსახურებული მექანიზატორის საპატიო წოდებანი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში მრავალი წლის და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილმა წაიკითხა შესაბამისი ბრძანებულებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. ს. ძოწენიძემ საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭების სიგელები გადასცა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს ა. ე. ასათიანს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგეს ბ. კ. ბალავაძეს, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ვ. ი. ქანთარიას და სხვებს.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების სიგელები მიიღეს დრამატურგებმა ი. ლ. ვაკელმა, ჯ. მ. კაკაბაძემ და სხვებმა, სულ 7 კაცმა.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდების მინიჭების სიგელები მიიღეს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტებმა ტ. კ. მალიშევამ, ნ. ს. ტორონჯაძემ და სხვებმა.

სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების სიგელები გადაეცა განათლების და მუსიკალური სასწავლებლების მუშაკთა ჯგუფს, მათ შორის თბილისის პირველი ძუსიკალური სასწავლებლის პედაგოგს ნ. ვ. ბაგრატიონ-მუხსს, თბილისის მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ საგანმანათლებლო სასწავლებლის პედაგოგს პ. ვ. კიკნაძესა და სხვებს.

დამსახურებული აგრონომის წოდების მინიჭების სიგელები მიიღეს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა და მუშაკებმა. ამ სიგელებით დაჯილდოებულთა შორის არიან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი მეთოდისტი შ. ა. სიმონიშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განყოფილების უფროსი აგრონომი პ. თ. ბორტიშვილი და სხვები.

საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტექიმის წოდების მინიჭების სიგელებით დაჯილდოებულთა შორის არიან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს უფროსი პ. ი. ხუხუნაშვილი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს უფროსი ვეტექიმი ა. ბ. ქუთათელაძე და სხვები.

საქართველოს სსრ დამსახურებული მექანიზატორის წოდების მინიჭების სიგელები მიიღო 4 კაცმა.

საპატიო წოდების მინიჭების სიგელებით დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს ვეტექიმმა ნ. ი. რუსიეშვილმა, დრამატურგმა კ. რ. კალაძემ, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობმა რ. კ. არუთინოვამ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ გულთბილად მიულოცა საპატიო წოდებათა სიგელებით დაჯილდოებულთ და უსურვა მათ ახალი მიღწევები მუშაობაში. (საქდესი).

ᲛᲔᲪᲘᲬᲠᲣᲡᲔᲗᲐ ᲓᲦᲔᲚᲘᲡ ᲞᲐᲠᲐᲓᲘᲡᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲘ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ

ᲑᲐᲠᲜᲐᲣᲚᲘ, 23 ნოემბერი. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც ნოვოსიბირსკში მიემგზავრება, ეწვია ალტაის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს. მასთან ერთად ინსტიტუტში მივიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გ. ი. ვორონოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ს. პოლიანსკი.

Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ Უ. Ჯ. ᲙᲔᲙᲝᲜᲔᲜᲡ

24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ დღის პირველ ნახევარში ნოვოსიბირსკში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს უ. კ. კეკონენს და ესაუბრა მას საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა მთავრობის ამა წლის 30 ოქტომბრის ნოტასთან ფინეთის მთავრობისადმი. საუბარი მიმდინარეობდა გულახდილობის, ურთიერთგაგებისა და გულწრფელობის სულისკვეთებით.

საუბარს ფინეთის მხრივ ესწრებოდნენ უ. კ. კეკონენის თანმხლებნი ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კარიალაინენი, ფინეთის ელჩი სსრ კავშირში ე. ვუორი, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ი. ჰალამი, პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი კ. უესტერჰოლმი და სხვები.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. სობოლევი, სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ა. ვ. ზახაროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგე ნ. მ. ლუნკოვი.

ᲞᲘᲐᲜᲣᲠᲐ. ახალი დარაკვეთის მაღაროში ბრიგადა გადის ცვლაში.
ფოტო ბ. დადვაძისა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲐ

ᲖᲐᲠᲘᲐᲜᲘ. (საკ. კორ.). ოქტომბრის ოლქის ოლქიკომი, ოლქის ოლქიანმასწავლებელთა ინსტიტუტი, ოლქის ოლქიანმასწავლებელთა ინსტიტუტის ბიბლიოთეკა

ერთსულოვნება, დარაზმულობა

პარტიის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო ორგანიზაციების აქტივის კრებაზე

ბათუმი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო ორგანიზაციების აქტივის კრებას, რომელიც ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა, ათასზე მეტი კაცი დაესწრო. აქ თავი მოიყარეს ავტონომიური რესპუბლიკის ყველა კუთხის მოწინავე ადამიანებმა.

კრების სათაო პრეზიდიუმში ხანგრძლივი ტაშის გრიალში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ამხანაგ **ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის** მეთაურობით.

მოხსენებით — „სკკპ XXII ყრილობის შედეგები და ოლქის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“ — გამოვიდა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ა. თხილაშვილი.**

მომხსენებელი და სიტყვებით გამოსულნი ლაპარაკობდნენ იმ უდიდეს პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რაც გამოიწვია პარტიის XXII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. მზიერი აჭარის მშრომელები პარტიის პროგრამაში ხედავენ თავიანთ ხვალინდელ დღეს, ნათელ მომავალს, რომელიც გაცისკროვნებულია კომუნიზმის მარად უქრობი სხივებით.

აჭარის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს წინასწარლობა სოციალისტური ვალდებულებანი. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა საერთო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა გადამდე — 21 ოქტომბერს შეასრულეს.

გადადგმულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. აჭარის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფისა და დამზადების გეგმები. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარდა 1.303 ტონა ჩაის ფოთოლი. სრულდება სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის დავალებებიც.

აქტივის კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ პიროვნების კულტის მავნე შედეგების ლიკვიდაციის, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების განხორციელებისათვის მიღებული ზომები.

პიროვნების კულტის მძიმე შედეგებზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. კოპალტაძემ, პარტიის ქობულეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. ხვიჩიამ, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა, დოცენტმა ვლ. ქემხაძემ, პარტიის ხულოს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბოლქვაძემ და სხვ., რომლებმაც მოიყვანეს პიროვნების კულტის დროს პატიოსანი პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკების უკანონო დევნისა და მათი დაუდასტურებელი, შეთხზული ბრალდებებით მოსპობის არაერთი ფაქტი.

აქტივის კრების მონაწილეებმა მკაცრად დაგმეს მოლოტოვის, მალენკოვის, კაგანოვიჩისა და მათ თანამზრახველთა ძირგამომთხრელი საქმიანობა. სწორედ ისინი ეწეოდნენ უკანონო მასობრივ რეპრესიებს პატიოსანი საბჭოთა ადამიანების მიმართ, მათვე მიუძღვით პერსონალური პასუხისმგებლობა პარტიის ერთგული შვილების ფიზიკური მოსპობისათვის.

— მარტო ერთი სოფლიდან —ვაიოდან, — აღინიშნა პარტიის ქედის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ანანიძემ, — 28 კაცი იქნა დაპატიმრებული 1937-1938 წლების პერიოდში, მათგან მხოლოდ ორი დაბრუნდა,

1937 წლის 20 ივლისს შეთითხნილ იქნა საქმე აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ზ. ლორთქიფანიძის, აჭარავჭრობის მმართველის ქიქავას, იურისტ ლალიძის, პარტიის ქობულეთის რაიკომის მდივნის ძნელაძის, კოლმეურნეობის თავმჯდომარეების ჩალოღლის, რომანაძის და ვანაძის მიმართ, რომლებიც ფიზიკურად მოსპობილ იქნენ ბერიას უშუალო მითითებით.

ზ. ლორთქიფანიძესთან ერთად დაპატიმრებული პირების მოსპობის შემდეგ დაპატიმრეს თითქმის ყველა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკი, პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, სახალხო კომისრები, მათი მოადგილეები, კომკავშირული მუშაკები, რომელთა დიდი უმრავლესობა ან დახვრეტილ იქნა ან საპყრობილეებში დაიღუპა.

— კომუნიზმის აშენების პროგრამა, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო, — თქვა თავის გამოსვლაში ძველმა კომუნისტმა, პერსონალურმა პენსიონერმა ვ. ჯანიშვილმა, — მილიონთა გონებას დაეუფლა. შემდეგ ორატორი ლაპარაკობს ანტიპარტიული ჯგუფის საზიზღარ საქმიანობაზე, ხაზს უსვამს, რომ ფრაქციონერთა ჯგუფის განადგურება პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის უდიდესი გამარჯვებაა.

ტრიბუნაზეა მანქანათსამშენებლო ქარხნის ამწყობ-ზეინკალთა კომუნისტური ბრიგადის ხელმძღვანელი, სკკპ XXII ყრილობის დელეგატი ვ. ჯაში.

— მიძღვნილია სიტყვებით გამოვთქვა ის შთაბეჭდილებანი, რაც პარტიის XXII ყრილობაზე მივიღე, — ამბობს იგი. — ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმაშინაარსიანი მოხსენებები, მისი საბოლოო სიტყვა, ყრილობის დელეგატთა გამოსვლები, ყრილობის გადაწყვეტილებები, პარტიის პროგრამა და წესდება ახალი შრომითი გმირობისაკენ მოგვიწოდებენ. ხელებს ძალა ემატება და გულს ხალისი. ჩვენმა ბრიგადამ კარგა ხანია სამშობლოს წლიური გეგმის შესრულება უპატაჟა. ახლა 1962 წლის ანგარიშში ვმუშაობთ.

აქტივის კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე პარტიის ბათუმის და შუახევის რაიკომების პირველი მდივნები გ. დავითაძე, ნ. ხახუტაიშვილი, ქობულეთის რაიონის სოფელ გვარას ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პარტიის XXII ყრილობის დელეგატი ვ. ბაჯელიძე, საზღვაო ნავსადგურის უფროსი შ. სიმონიშვილი, კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ა. ლორთქიფანიძე, ა. ვიქტოროვი და სხვ.

აქტივის კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. გეგეშიძემ,** მან კრების მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა პარტიის XXII ყრილობის მასალების ფართო პროპაგანდის, ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მშრომელთა შემოქმედებითი შრომის გაძლიერების, ავტონომიური რესპუბლიკის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულების საკითხებზე.

პარტიული აქტივის კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ერთსულოვნად იწონებს პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიის პროგრამასა და წესდებას.

მიღებულ რეზოლუციაში პარტიული აქტივის კრება აბარებს ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ აჭარის კომუნისტები, ყველა მშრომელთან ერთად, არ დაიშურებენ ძალასა და ენერგიას პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

რ. გოგრგაძე.



ასოგბით ტონა ფოლადი გამოუშვა გეგმის ზევით რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადემ ვლადიმერ მეტრეველმა. მისი ბრიგადა ყოველთვიურ საწარმოო დავალებას სისტემატურად ვადაზე რამდენიმე დღით ადრე ასრულებს.

სურათზე: მეფოლადე ვ. მეტრეველი.

ფოტო ს. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ეთაგონეგული შრომობს ბრიგადა

დელეგატის გლოკინოტიდან

რა დამავიწყებს 1961 წლის ოქტომბერს! ეს დღეები სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში. მე, ჩვეულებრივი რიგითი მაღაროელი, მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატი ვიყავი.

რა დიდებულია საბჭოეთის დედაქალაქი, მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედი და ნუგეში— მოსკოვი. რა შესანიშნავია კრემლი, ყრილობათა ახალი სასახლე...

გულისყურით ვუსმენდი მშვიდობის მედროშის ნ. ს. ხრუშჩოვის შინაარსიან მოხსენებებს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა, ყრილობის დელეგატთა გამოსვლებს. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა საზღვარგარეთის ქვეყნების მუშათა და კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელთა ნათელმა და მკაფიო სიტყვებმა. მე მჯერა, რომ მშვიდობა შენარჩუნებული იქნება, რომ ამ სანუკვარ საქმეში ჩვენთან არიან მთელი ქვეყნის პროგრესული ძალები.

ყრილობაზე გავიცანი ლეგენდარული გმირები ი. გაგარინი და გ. ტიტოვი. ჩვენ სურათებიც გადავიღეთ ერთად. მიხარია, რომ პირადად შევხვდი ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმულ მეშახტეს ნ. მამაის, სახელმოხვეჭილ ფეიქარს ვ. გაგანოვას...

„ხალხი ისტორიის შემოქმედია, კომუნიზმის აშენება ხალხის, მისი ენერგიის, მისი გონების საქმეა, კომუნიზმის გამარჯვება დამოკიდებულია ადამიანებზე, და კომუნიზმი ადამიანებისათვის შენდება. თვითეული საბჭოთა ადამიანი თავისი შრომით აახლოებს კომუნიზმის გამარჯვებას“. პარტიის ახალი პროგრამის ეს სიტყვები გულში ჩამწვდა და შრომითი მამაცობისათვის შთამაგონა.

ცუდი მაჩვენებლებითა და პირშერცხვენილი როდი წავსულვარ ყრილობაზეც, არც ჩემი ბრიგადის ბიჭები დამხვედრიან პირშავად. ჩვენ ყრილობის გახსნის დღისათვის სამშობლოს მივეცით 14.845 ტონა ზეგეგმითი მარგანეცი, და ეს ხუმრობა საქმე როდია.

დავბრუნდი ჩემს მშობლიურ მაღაროში, ბრიგადაში. გულითადად, გულწრფელად შემხვდნენ მაღაროელი მეგობრები, მეზობლები, ოჯახი...

ბრიგადის წევრებს ვესაუბრე ყრილობის მიერ დასახულ დიად ამოცანებზე, პარტიის ახალ პროგრამაზე, ჩვენს ნათელ მომავალზე. მაგრამ ეს საუბარი ერთ დღეს როდი დამთავრებულა. ბუნებრივია, ჩემს გულისნადებს, ჩემს ფიქრებს ამხანაგებს ვუზიარებ. ყველაფერი ეს შრომითი თავდადებისათვის ძალას გვმატებს. ჩემი ბრიგადა ყოველდღიურად 500 ტონა მადანს აძლევს მეტალურგიას.

ბრიგადის წევრებს ხშირად მოვაგონებ ყრილობის ტრიბუნიდან ნათქვამ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს:

„კომუნიზმის დასამკვიდრებლად საჭიროა მტკიცე მატერიალური ბაზა და მატერიალური და სულიერი სიკეთის სიუხვე. ამას კი შელოცვითა და მოწოდებებით ვერ მივაღწევთ. კომუნიზმი შეიძლება ავაშენოთ მილიონთა შრომით, შრომით და მხოლოდ შრომით“.

ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შთაგონებული შრომობს ჩემი ბრიგადა. გადავწყვიტეთ: წლის ბოლომდე დარჩენილ დროში სამშობლოს მივცეთ 20.000 ტონა მარგანეცის მადანი.

ეს კომუნისტური შრომის ბრიგადის გაუტეხელი სიტყვაა. ამით ჩვენს წვლილს შევიტანთ ყრილობის წინასწარდასახულობათა განხორციელებაში.

მ. აბრამიშვილი,

დონეტროვის სახელობის მაღაროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

უხვი მოსავალია

ცხაკაიას რაიონის მშრომელები, რომლებიც სამმი შეუდგნენ პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, დღითიდღე აძლიერებენ მუშაობის ტემპს.

თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს ზემოჭალადიდელმა კოლმეურნეებმა. აქ საშუალო მოსავლიანობა 31 ცენტნერს შეადგენს. მაღალი მოსავალი მოიყვანა ამ კოლმეურნეობის მოწინავე მესინმინდემ პლატონ ცაავამ. მან ნაკისრი ვალდებულება პირნათლად განაღდა — მოსავალად მიჩენილ ერთ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდი მიიღო.

ძველი სენაკის საცდელ-საჩვენებელმა მეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 39 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. ამ მეურნეობის მუშებმა ვ. ჯანჯღავამ, პ. ხარებავამ ჰექტარზე ას-ასი ცენტნერი სიმინდი მიიღეს.

ს. კუჭავა.

შრომის ბარაქა

ძარელი. (საკ. კორ.). 110 ცენტნერი ვაშლი სამოცდათოთხმეტი ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე! — ასეთია ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მესამე აგროუბნის (ხელმძღვანელი აგრონომი შ. ბედიანაშვილი) შრომის შედეგი. ეს გეგმას დიდად აღემატება და ნაკისრ ვალდებულებას 30 ცენტნერით აჭარბებს.

მესამე აგროუბანში ვაშლის ყველაზე მაღალი მოსავალი მოიყვანა პირველმა ბრიგადამ, რომელსაც გ. კვარიანთაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე 113 ცენტნერი ვაშლი მოკრიფა.

მ. ხეთაგური.

თამბაქო გეგმის გადამეტებით

ლაგოდეხი. (ჩვენი კორ.). სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებმა დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია რაიონის მშრომელებში. მეტი თამბაქო სამშობლოს! — ამ დევიზით შრომობენ კოლმეურნე მეთამბაქეები.

თამბაქოს მოსავლიანობის გადიდების საქმეში სახელი გაითქვეს სოფელ გურგენიანის კოლმეურნეობა „ბანთიადის“ ჩევრებმა, რომლებმაც ჭლიური დავალება შეასრულეს. ნაცვლად 90 ტონისა სახელმწიფოს მიჰყიდეს 94 ტონა თამბაქო. კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს გეგმის ზევით კიდევ ჩააბარონ 20 ტონაზე მეტი თამბაქოს ნედლეული.

თამბაქოს დიდი მოსავალი მიიღეს სოფელ კალინოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქეებმა. ჭლიური გეგმით 128 ტონა უნდა ჩაებარებინათ. მათ უკვე მიჰყიდეს სახელმწიფოს 136 ტონა თამბაქო.

მ. ქვრივიშვილი.

ქალიშვილი ზედა ეწერიდან

ზედაეწერლებს როდი გაჰკვირვებიათ, როცა ნორა პაკელიანის მშობლებმა მუდმივ საცხოვრებლად მათი სოფელი აირჩიეს, მესტიიდან აქ ჩამოსახლდნენ. ნორა მაშინ სულ თორმეტი თუ ცამეტი წლისა იქნებოდა.

სწავლაში ბეჯითი, ამხანაგების მოყვარული გოგონა თანატოლებმა დასავით მიიღეს. ზედა ეწერი მისთვის მშობლიურ სოფლად იქცა.

შეუმჩნევლად გაირბინა წლებმა. ნორამ 1955 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

ცხოვრების გზა ასარჩევი ჰქონდა.

დიდხანს არ უფიქრია.

შრომა ბედნიერების მარკვენა ხელიაო, ახსოვდა ბრძნული ნათქვამი.

შრომაში დაინახა მან სახელოვანი მოსავალი. ზედა ეწერის კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. მეჩაიეებს ამოუდგა გვერდში. მისი მაგალითისამებრ ბევრი საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ჩაება შრომითს საქმიანობაში. მათ კიდევ უფრო მეტი შრომითი სიხალისე შეიტანეს კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში.

ფიზიკურ შრომას მიუჩვეველს პირველ ხანებში გაუჭირდა ჩაის კრეფა, ნაზი თითები არ ემორჩილებოდა. ბევრს კი ცდილობდა მოწინავეთ გატოლებოდა, თავი ესახელებინა სახალხო დოვლათის შექმნაში. მისი ასეთი სურვილი შეუმჩნეველი არ დარჩათ ცხოვრების რთულ სკოლაგამვლილებს — სახელოვან მეჩაიეებს. მასწავლებელიც გამოუჩნდა. მეჩაიე ნოვატორმა გუგუშა ჭითანავამ მისი აღზრდა იკისრა. სწორედ მისი დახმარებით მალე დამკვიდრა ჩაის კარგი მკრეფავის სახელი ნორა პაკელიანმა. აკი ამატომაც დიდ პატივს სცემს თავის პირველ მასწავლებელს, რომელმაც ცხოვრების სახელოვანი გზის გაკვალვაში მშობლიური ამაგი დასდო.

— საკმარისი როდია მარტო შენ იყო მოწინავე, მაშინ უფრო დაგიფასებენ, როცა შენს გვერდით მყოფთ დაეხმარები გახდენენ შრომაში თანატოლნი, —ხშირად ეტყოდა ნორას ჭითანავა და პირადი მაგალითით უნერგავდა სხვებისადმი დახმარების გრძნობას.

ნორა პაკელიანმა ბევრი სახელოვანი მეჩაიე გამოზარდა, აი ისინიც: ეკატერინე ჩხვიმიანი, პასიკო სუბელიანი, სონია კვიციანი, ფაცია აფხაზავა, ციალა ჭითანავა და სხვები.

თანამემამულის სახელი და დიდება მესტიაშიც გაიგეს. ახარებთ მისი წარმატება. და აი ყოველ ბაზუხლობით ზედა ეწერში ჩამოსვლა იწყეს მესტიელებმა. ყველა მათგანი თხოულობდა ჩაის საკრეფად გაეგზავნათ იმ ბრიგადაში, სადაც მათი ყოფილი თანასოფელი კრეფდა „მწვანე ოქროს“. წელსაც მესტიელებმა ზედაეწერლებთან ერთად გადაიხადეს ჩაის რთველი, 200 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს. ნორას დიდად ახარებს თანასოფლელთა ეს დახმარება, ეამაყება მათი ინიციატივა. ჩაის კრეფაში მესტიელთა დახმარება ტრადიციად იქცა.

ორი წლის წინათ კოლმეურნეობა, სადაც პაკელიანი მუშაობდა, მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობად გადაკეთდა. იგი იქვე დარჩა სამუშაოდ. თავდადებულად შრომობს მეურნეობის სახელისათვის. ჩაის კრეფის ყოველწლიურ ვალდებულებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს, ამასთან ეხმარება მეურნეობაში სამუშაოდ ახალგამოსულ ახალგაზრდებს მალე ითვისონ ჩაის კრეფის ხერხები.

როდესაც ქართველმა მეჩაიეებმა 150 ათასი ტონა ჩასასვლის სახელოვანი ბრძოლის დროს აღმართეს, ნორა პაკელიანი ლენინური პარტიის რიგებში მიიღეს. შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გრძნობა კიდევ უფრო გაიზარდა მასში. შეიდწლეულის მესამე წელს ახალი ენერგიით შეუდგა მუშაობას, სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების გადამეტებით ხუთი ტონა ჩაი მოკრიფა და წლიური გეგმა 360 პროცენტით შეასრულა.

ყრილოგის დელეგატი მოლაშჭრეთა მეთაურია

როგორ იღებს პაკელიანი ჩაის მაღალ მოსავალს?

ასეთი კითხვით მივმართეთ ზემო ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ამხ. ჩიქავას.

დირექტორმა ოდნავ გაღიმა და მოკლედ გვიპასუხა:

— ჩაის მოსავლიანობის გადიდების საიდუმლოება არ არსებობს. საკმარისია ყველა სამუშაო აგროვადებში და ხარისხიანად შესრულდეს. მთავარი კი საქმის სიყვარულია, პაკელიანს უთქვია ნახავთ პლანტაციებში, საღამოს კი გვიან ბრუნდება სამუშაოდან. შრომა იყო და არის მაღალი მოსავლის დედა. შრომით აღწევს იგი წარმატებას.

მეურნეობის ხელმძღვანელობის ამ პასუხში პაკელიანის საქმიანობის მაღალი შეფასებაა მოცემული.

მისი სახელოვანი შრომის კიდევ უფრო მაღალი შეფასება იყო ის, რომ საქართველოს კომუნისტურმა ორგანიზაციამ მეჩაიე ქალიშვილი კომუნიზმის მშენებელთა პარტიის XXII ყრილობაზე წარგზავნა. ნორა პაკელიანი კრემლის ყრილობათა სასახლეში უშუალო მონაწილეობას იღებდა ჩვენი პარტიის ახალი პროგრამის შემუშავებასა და მიღებაში. მან ხმა მისცა ჩვენი ეპოქის ჭეშმარიტად უდიდეს მანიფესტს — კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას.

მოუთმენლად ელოდნენ ყრილობიდან მის დაბრუნებას ზუგდიდელებიც და მესტიელებიც. ორივე რაიონის მცხოვრებლებს ერთნაირად ახარებს თანაზიარი შვილის ცხოვრების სახელოვანი გზა. განსაკუთრებულ მოუთმენლობას მისი თანატოლი გოგონები იჩენდნენ. მათ ხომ კიდევ უფრო ესახელებათ, ნორას სიხარული მათი სიხარულია, შრომაში თანამოზიარენი მისი სიხარულის თანამოზიარენიც არიან.

ყრილობიდან ნორას დაბრუნება ზუგდიდში ნამდვილ ზეიმად გადაიქცა. გოგონები ლაპარაკს როდი აცლიდნენ, კითხვას კითხვაზე აძლევდნენ. ნორამაც დაწვრილებით უამბო თანასოფლელებს ყრილობაზე განცდილი სიხარულის შესახებ.

— ახლა კი მუშაობას შევუდგეთ — ასე დაამთავრა თავისი საუბარი ჩვენი პარტიის ისტორიული XXII ყრილობის დელეგატმა ნორა პაკელიანმა.

მისი საუბრის უკანასკნელი სიტყვები მოწოდება იყო შვიდწლეულის მეოთხე წელს მეტი ჩაისათვის ბრძოლის შესახებ.

ბრიგადამ, რომელშიც ის მუშაობს, ყრილობაზე მისი ყოფნის დღეებში ვალდებულების გადამეტებით თერთმეტი ტონა ჩაის მოკრეფა უპატაჟა.

ზედა ეწერის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი უკვე შეუდგა ზრუნვას მომავალ წელს მეტი ჩაის მოღებისათვის. მზიანი ამინდები ხელს უწყობს ჩაის პლანტაციებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოთა ჩატარებას. ნორა პაკელიანი და მისი თანამოსაქმენი აქედანვე ამზადებენ პირობებს, რათა მომავალში გაცილებით მეტი ჩაი მოსცენ მრეწველობას, ვიდრე წელს. ნორამ ვალდებულება იკისრა მოსავლიად მიჩენილ 0.5 ჰექტარ ჩაის ნაკვეთში 12 ტონა „მწვანე ოქროს“ მოკრიფოს და კვლავ დაეხმაროს ჩამორჩენილ მეჩაიეებს ამაღლდნენ მოწინავეთა დონემდე. განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევს ახალგაზრდობას. ასეც უნდა იყოს. ის და მისი თანატოლები ხომ კომუნიზმში იცხოვრებენ, ისინი კაცობრიობის ნათელი მომავალი — კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში უნდა იყონ.

ი. ბეჟაშვილი,

სურათზე: ნ. პაკელიანი.

„ქინძმარაულის“ დიდოსტატები

ყვარელი. (საკ. კორ.). მდინარე ბურსის მარცხენა მხარეს ბაღ-ვენახებით დამშვენებული ველი, რომ მდებარეობს, ყვარლის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობის კუთვნილებაა. აქ „საფერავიც“ კარგად ხარობს და „რქაწითელიც“. მაღალი ხარისხის „ქინძმარაულით“ ვინ არ დამტკბარა. სწორედ აქაური ვაზი იძლევა ამ ღვინოს.

მეურნეობის ვენახებს სანიმშოდ უვლიდნენ ყვარელი მშრომელები. მათ შრომა დაუფასდათ. წელს ყურძენი მაღალი შაქრიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა, ღვინოც კარგი დადგება.

მეურნეობის კოლექტივმა ყურძნის დიდი მოსავლის მიღება უპატაჟა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას. ჰექტარზე გეგმის გადამეტებით შვიდი ცენტნერი ყურძენი მიიღეს. 1.200 ტონის ნაცვლად 1.374 ტონა ოქროსფერი ყურძენი ჩაბარეს სახელმწიფოს. მეორე აგროუბანმა ყველას აჯობა, დავალება 130 პროცენტით გაანაღდა.

კარგია, მოსაწონია, ამბობენ ყვარლელები და იქვე დასძენენ, რომ წლევანდელი მარცხისს აღარ გამოდგება. სამშობლო მეტს მოითხოვს. მიიღებს კიდეც! ამაზე მეტყველებს მევენახეთა ბეჯითობა. რთველი დამთავრდა თუ არა, ვენახებში სასუქები შეიტანეს და მოხნეს, ვაზს ძირები გამოუბარეს; 339 ჰექტარი ვენახი მორთულ პატარძალს დაამსგავსეს. სიმეჩხრეზე ოერიში მიიტანეს. ზვრებს თერთმეტი ათასი ძირი ვაზი შეემატეს.

მეურნეობის დირექტორმა თენგიზ ბუჯიაშვილმა ბევრი მოწინავე დაასახელა. აი თენდაც გიორგი ბოჭორიძე. მან 75 წელს მიაღწია, მაგრამ მუშაობაში ტოლი არ ჰყავს. მისი მოვლილი ვაზი ყოველთვის დიდ მოსავალს იძლევა. ასევე მუშაობენ ზ. გიუნაშვილი, ვ. დინგაშვილი.

ყვარელები ახალი ვენახის გაშენებაშიც დაწინაურდნენ. პირველი დეკემბრისათვის სამოცი ჰექტარი ახალი ვენახი უნდა გაშენდეს. ასე იკისრეს და ასეც იქნება!

ს. ქოჩლაძე.

კოლმეურნეობა—შუქურა

საცდელ-საჩვენებელ მეურნეობაში

ლამაზია სოფელი ტიბაანი. ცენტრალური ქუჩის მარჯვნივ და მარცხნივ ორსართულიანი ახალი სახლებია ჩამწკრივებული. სოფელში არის ჯანმრთელობის, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. რომ იტყვიან, ნამდვილი აგროდაბაა.

შრომისმოყვარე სოფლის მშრომელებმა კარგად იციან ბარაქიანი მიწის ყადრი. ისიც კარგად იციან, რომ № 12 ღვინომ „ტიბაანმა“ სახელი შორს გაითქვა. ამიტომ არის, რომ ტიბაანელი გლეხი საკუთარი შვილივით ეალერსება ვაზის თვითეულ ძირს, მზრუნველობას არ აკლებს, თვალისჩინივით უფრთხილდება...

შეეფიდით თუ არა საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობის კანტორაში, თავმჯდომარე მოვიკითხეთ. თვითონ თავმჯდომარე ასპირანტი ვიტალი ბრეგვაძე დგეხდა. იქვე იყვნენ მისი მოადგილე ელგუჯა ბეჟანიშვილი, კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი გიორგი აბრამიშვილი და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ამ პატარა ოთახში მათი მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დიდ საკითხებზე იყო ბჭობა.

გ. აბრამიშვილს საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობის სქემა გაეშალა მაგიდაზე.

— აი ჩვენი კოლმეურნეობის მიწის მთელი ფართობი, — ამბობს აბრამიშვილი, — მართალია ნაკვეთების უდიდესი ნაწილი მაღალ მოსავალს იძლევა, მაგრამ ჩვენ გვაქვს მწირი მიწებიც, სადაც ყოველწლიურად დაბალი მოსავალი მოდის. ამიტომ ჩვენი საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობის წინაშე პარტიამ დააყენა ამოცანა ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ მწირი ნიადაგების სტრუქტურა და რაც შეიძლება მეტი მოსავალი მივიღოთ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის XXII ყრილობაზე დიდი ყურადღება დაუთმო სიმინდს, ამიტომ ჩვენი საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობის ნინაშე პარტიამ დააყენა ამოცანა ყოველმხრივ გავაუმჯობესოთ მწირი ნიადაგების სტრუქტურა და რაც შეიძლება მეტი მოსავალი მივიღოთ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა პარტიის XXII ყრილობაზე დიდი ყურადღება დაუთმო სიმინდს, როგორც ყველაზე შემოსავლიანი კულტურის, შემდგომ განვითარებას.

ჰექტარზე 50 ცენტნერი. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენი რესპუბლიკისათვის საშუალო მოსავალია. ტიბაანის საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობის მუშაკებმა კი უკვე შეარჩიეს ისეთი ჯიშები და ჰიბრიდები, რომელთა მოსავალი ჰექტარზე 80 ცენტნერზე ნაკლები არ იქნება.

საცდელ-საჩვენებელმა კოლმეურნეობამ თავისი არსებობის 6 თვის მანძილზე ბევრი სიახლე დანერგა მიწათმოქმედების კულტურის ამაღლებისა და მეცხოველეობის განვითარების საქმეში. სიმინდი 160 ჰექტარზე მთლიანად კვადრატულ-ბუდობრივად დათესეს, 98 ჰექტარი მორწყეს. ნიადაგის დამატებითი გამოკვების მიზნით რწყვის დროს გამოიყენეს ამონიუმის გვარჯილა. ვაზის მავნებლის — ობლაბუდას მეეთებელი ტკიპის მოსპობის მიზნით გამოიყენეს ახალი პრეპარატი „ინტრათიონი“, რამაც საუკეთესო შედეგი გამოიღო. გათვალისწინებულია მომავალი წლიდან ეს პრეპარატი სხვა კოლმეურნეობებშიც გამოიყენონ.

— აი აქ, ამბობს აგრონომი გ. აბრამიშვილი და სქემის შუა ნაწილზე მიგვითითებს, — ივნისის შუა რიცხვებში საადეგი ვაზის გაცდენილ ადგილებში ვაზის მწვანე გადაწვენა მოვაწყეთ. ამ წესის უპირატესობა ის არის, რომ ჯერ ერთი ვაზი მთლიანად ხარობს და სიმეტრიის ისპობა, მეორეც, გადაწვენილი ყლორტი კარგად ვითარდება და შემდეგ წელსვე კარგ ნაყოფს იძლევა.

მიმდინარე წელს ტიბაანის საცდელ-საჩვენებელმა კოლმეურნეობამ რაიონში აგროტექნიკურ ვადებში და პირველმა დაამთავრა საშემოდგომო ხორბლის თესვა. 96 ჰექტარზე წინასწარ შეიტანეს სუპერფოსფატი.

საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობა არც მეცხოველეობის შემდგომ განვითარების საკითხს ივიწყებს. წელს პროფესორ ბაიბურციანის მეთოდით 500 ბატკანი და რიგიანი ეთელი გოჭი დაკოდეს. ამ მეთოდით დაკოდილი პირუტყვი უფრო ჯანმრთელი და მაღალპროდუქტიულია.

მაგრამ ეს საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობის მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. ამ დღეებში სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს სხდომაზე განიხილეს მომავლის გეგმები. სოფლის მეურნეობის წინაშე პარტიის XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანები აქ უკვე მოქმედებაშია. მუშაობდა შიდასამეურნეო დაგეგმვა და ნიადაგის აგროქიმიური შესწავლა. მახალების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შემოღებულ იქნება სწორი თესლბრუნვა და დადგინდება ცალკეული ნაკვეთების განოყიერების სისტემა.

მომავალი წლიდან მთლიანად იქნება აღმოფხვრილი ვენახებისა და ხეხილის ბაღების დამუშავების პრიმიტიული წესები. ალაზნის არხის ამოტუმბვის საშუალებით საცდელ-საჩვენებელ კოლმეურნეობას შესაძლებლობა ექნება მთლიანად მორწყას როგორც ვენახები, ისე ხეხილის ბაღები.

ტიბაანის საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობის ამ მიღწევებს ფასი არ ექნებოდა, თუ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და პირუტყვის პროდუქტიულობის გაზრდის მეთოდებს რაიონის კოლმეურნეობებში არ გაავრცელებდნენ.

ტიბაანელთა მაგალითით რაიონში ბევრმა მევენახემ შემოიღო ვაზის მწვანე გადაწვენა, სიმინდის მოსავლიანობის ამაღლების მეთოდები, პირუტყვის დაკოდვის პროფესორ ბაიბურციანის მეთოდი და სხვ.

ხშირად ნახავთ ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. ბრეგვაძეს, მთავარ

ურთიერთგაგება, გულითადობა

საბჭოთა კავშირ-სუდანის ერთობლივი განცხადება

ხარტუმი, 22 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ აქ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-სუდანის ერთობლივ განცხადებას.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევსა და მის თანმხლებ პირებს ჰქონდათ მეგობრული შეხვედრები და საუბრები სუდანის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან და პრემიერ-მინისტრ იბრაჰიმ აბუდთან და სუდანის რესპუბლიკის სხვა თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეებთან. ამ შეხვედრებისა და საუბრების დროს, რომლებიც ურთიერთგაგებისა და გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მოსდა აზრთა გაზიარება როგორც საბჭოთა კავშირ-სუდანის ურთიერთობის საკითხებზე, ისე ყველაზე აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

ორივე მხარემ დაადასტურა თავისი თვალსაზრისი საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, ჩამოყალიბებული 1961 წლის 26 ივლისს მოსკოვში ხელმოწერილ საბჭოთა კავშირ-სუდანის კომუნიკეში და დათანხმდა, რომ საჭიროა დაჩქარდეს საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხის გადაჭრა, როგორც ჩვეულებრივ საჰაერო იარაღის, ისე ატომგულის იარაღის ჩათვლით, მტკიცე საერთაშორისო კონტროლით, რაც უმნიშვნელოვანესი პირობაა ახალი მსოფლიო ომის საშინელებათაგან კაცობრიობის დაცვისათვის, და იკისრეს ვალდებულება გამოიყენონ მთელი თავიანთი შესაძლებლობანი ამ მაღალი მიზნის მისაღწევად.

ორივე მხარემ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების საჭიროება, რაც ხელს შეუწყობდა მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

ორივე მხარემ დაადასტურა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება სხვა მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებთან ერთად იბრძოლონ ყველა ფორმის კოლონიალიზმისა და ყველა მისი გამოვლინების სამოლოო, დაუყოვნებლივი და უშენიშვნო ლიკვიდაციისათვის

მაო ძე-დუნმა მიიღო იაპონელი სტუმრები

პეკინი, 24 ნოემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, გუშინ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა მიიღო იაპონიის გაზეთ „აკაჰატის“ მუშაკთა დელეგაციის წევრები ამ გაზეთის მთავარი რედაქტორის ცუესი დოკის მეთაურობით.

ამავე დროს მაო ძე-დუნმა მიიღო იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი კურაძი ანძი.

დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა სსრ კავშირსა და ბრაზილიას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ა. გრომიკოსა და ბრაზილიის შეერთებული შტატების რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ სანტიაგო დანტასს შორის წერილების გაცვლის შედეგად მიღწეულია შეთანხმება, რომ 1961 წლის 28 ნოემბრიდან აღსდგეს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ბრაზილიის შეერთებული შტატების რესპუბლიკას შორის და გაიცვალოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები. (საკდესი).

„ბომბების ფესტივალი“

პარიზი, 23 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ღამით პარიზი კვლავ გახდა „ბომბების ფესტივალის“ ცენტრი. მარტო ერთი საათის განმავლობაში — 23 საათიდან 24 საათამდე ადგილობრივი დროით საფრანგეთის დედაქალაქში აფეთქდა დიდი სიმძლავრის შვიდი ბომბი.

ღამით ბომბები აფეთქდა პარიზის სულ სხვადასხვა ოლქში. ერთ-ერთი ბომბი აფეთქდა შენობაში, სადაც ცხოვრობს ყოფილი მინისტრი და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი მარსელ პოლი. ორი ბომბი აფეთქდა პარიზის რადიოტექნიკური სკოლის შენობებში, რომლებიც ას მეტრზე მდებარეობენ გაზეთ „ლუმანიტეს“ შენობიდან.

ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ ბომბები იყო აგრეთვე ჩაფიფული შენობებში, რომლებშიც ცხოვრობენ გაზეთ „ლუმანიტეს“ რედაქტორი ჟერარ გატენო, გაზეთ „ლიბერასიონის“ თანამშრომელი კლოდ ესტიე და ყოველკვირეულის „ექსპრესის“ კორესპონდენტი ჟან დანიელი.

ᲠᲐᲖᲔ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲓᲜᲔᲜ ᲙᲔᲜᲔᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲓᲔᲜᲐᲣᲔᲠᲘ?

ვაშინგტონი, 22 ნოემბერი. (საკდესი). აქ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კენედისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის ადენაუერის მოლაპარაკება, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა (თავდაპირველად დაგეგმილი ორი დღის ნაცვლად). მოლაპარაკების შედეგად, რომელიც ამერიკის პრესის ცნობების თანახმად, მეტად დაძაბულად და საგანგებო სიფრთხილეობის ვითარებაში მიმდინარეობდა, თვითმა სახლმა გამოაქვეყნა ამერიკა — დასავლეთ გერმანიის ოფიციალური კომუნიკე.

სერიოზული განხილვის საგანი იყო დასავლეთი ბერლინი. პრეზიდენტმა და კანცლერმა, აღნიშნულია კომუნიკეში, დაადასტურეს „მტკიცე გადაწყვეტილება უზრუნველყონ თავისუფალი და ძრწყვარე ცხოვრება ბერლინის მოსახლეობისათვის“. ისინი შეთანხმდნენ „ძირითადი ელემენტების შესახებ, რომლებიც საშუალებას იძლევა მშვიდობიანი გზით გადაიჭრას ეს კრიზისი მოლაპარაკების საშუალებით, თუ საბჭოთა კავშირი დაიკავებს გონივრულ პოზიციას“, აგრეთვე შეთანხმდნენ იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს ამ მიზნის მისაღწევად „ისეთი გზით, რომელიც შეესაბამება ყველა დაინტერესებული მხარის კანონიერ ინტერესებს“.

ამავე დროს კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ კენედი და ადენაუერი დაადგენენ ერთიან აზრს იმის შესახებ, რომ საჭიროა გადიდდეს „ნატოს შესაძლებლობა რომ დასძლიოს ომის ყველა მუქარა“. ამ საკითხების განხილვა, როგორც აღნიშნულია შემდეგ კომუნიკეში, გაგრძელდება კანცლერ ადენაუერის, ინგლისის პრემიერ-მინისტრის მაკმილანისა და საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის შეხვედრის დროს და დამთავრდება დასავლეთის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრითა და ნატოს სამბჭოს სესიით მინისტრთა დონეზე, რომელთა მოწყობა დასახულია პარიზში, დეკემბრის შუა რიცხვებში.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის დღეებში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკაში გაიხსნა საბჭოთა კავშირის მიღწევებისადმი, ჩეხოსლოვაკიელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობისადმი მიძღვნილი გამოფენები.

პრაღაში, ვ. ი. ლენინის მუზეუმში, გახსნილია გამოფენა „კომუნიზმი მთელი კაცობრიობის ნათელი მომავალია“.

სურათზე: მნახველნი ათვალიერებენ გამოფენის ექსპონატებს.

ფოტო ი. ნოსეკისა. (ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო).

თავისუფლების გრიგალი ლათინურ ამერიკაში

გაერთიანება — კაცობრიობის № 1 ამოცანა

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). თავის გუშინდელ სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა განაგრძო განიარაღების საკითხის განხილვა.

პირველი გამოვიდა პერუს წარმომადგენელი ბელაუნდე. ორატორმა აღნიშნა, რომ განიარაღების პრობლემა უაღრესად სერიოზული პრობლემაა, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას, და ამასთან დაკავშირებით დადებითად შეაფასა საბჭოთა კავშირ-ამერიკის განცხადება განიარაღების გამო მოლაპარაკების შეთანხმებული პრინციპების შესახებ.

მაგრამ თავისი გამოსვლა პერუს დელეგატმა ძირითადად მიუძღვნა იმას, რომ ქების ასხმადა განიარაღების ამერიკულ გეგმას, რომელიც, როგორც ცნობილია, განიარაღების საკითხი შეცვლილია შეიარაღებისადმი კონტროლის საკითხით.

შემდეგ გამოვიდა ცეილონის წარმომადგენელი მალალასეკერა.

მალალასეკერამ წინადადება წამოაყენა მოეწყოს „განიარაღების წელი“, რომლის დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გამოიყენებს თავის ყველა ორგანოსა და ყველა საშუალებას, რათა შექმნას ხელშეწყობა პირობები საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებისათვის.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ავსტრიის, ცეილონის, ეთიოპიის, ლიბიის, შვეიცის, სუდანისა და ტუნისის, (უკანასკნელი ამ ცოტა ხნის წინათ შეუერთდა რეზოლუციის ინიციატორთა რიცხვს) რეზოლუციის პროექტს ატომური იარაღის გავრცელების თავიდან აცილების შესახებ.

შემდეგ გამოვიდა საფრანგეთის წარმომადგენელი ლეკანდრი, რომელმაც არსებითად თავისი გამოსვლა მიუძღვნა იმის დასაბუთებას, რომ საჭიროა დაწესდეს კონტროლი შეიარაღებისადმი.

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი იუწყება: პოლიტიკური კომიტეტის 22 ნოემბრის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა განიარაღების საკითხის განხილვა. დიდი ძალით გაისმა გამოსვლა სოციალისტურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისა — თანამედროვეობის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრისათვის ყველაზე თანმიმდევრული მებრძოლებისა.

რუმინეთის მთავრობა მზად არის ყოველ მომენტში მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, განაცხადა რუმინეთის წარმომადგენელმა მეზინჩესკუმ. პოლიტიკურ კომიტეტს შეუძლია გააადვილოს მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის ამოცანა, თუ იგი მხარს დაუჭერს შეთანხმებას განიარაღების საერთო პრინციპების შესახებ, რომელსაც საბჭოთა კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიაღწიეს. ამას ხელს შეუწყობს აგრეთვე მოლაპარაკების საწარმოებლად ორგანოს შექმნა, რომელიც აიგება თანასწორ საფუძველზე მსოფლიოში სახელმწიფოთა სამი ჯგუფის — სოციალისტური ქვეყნების, ნეიტრალისტური სახელმწიფოებისა და დასავლეთის სამხედრო ბლოკების მონაწილე ქვეყნების არსებობის გათვალისწინებით.

ჩვენ ვდგევართ გზაჯვარედინზე, საიდანაც მიდის ორი გზა: ერთი — მშვიდობიანად განიარაღების მეშვეობით, მეორე — ატომური ომისაკენ გამალებული შეიარაღების მეშვეობით, თქვა უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. თ. პალამარჩუკმა. საბჭოთა კავშირმა გაერთიანებული ერების განსახილველად შეიტანა საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამა, რადგან ევროპათაირი სანაზღვრო ღონისძიებანი ვერ აღმოფხვრიან მთლიანად ომის საფრთხეს. სამწუხაროდ, ომისშემდგომი მოლაპარაკების მთელი ისტორია მოწმობს, რომ შეერთებული შტატები და მათი მოკავშირეები განიარაღების წინააღმდეგი არიან.

უკრაინის წარმომადგენელმა თქვა, რომ წინადადებული ნაბიჯი შეთანხმების მიღწევა სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის საყოველთაო და სრული განიარაღების ძირითადი პრინციპების შესახებ. მაგრამ ეს მხოლოდ მინიმუმია. თანამედროვეობის ყველაზე მწვავე პრობლემის ნამდვილ გადაჭრას ხელს უშლის დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკის საერთო აგრესიული კურსი, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება და გამალებული შეიარაღების გაძლიერება.

უკრაინის დელეგატმა განაცხადა, რომ პოლიტიკური კომიტეტი სასარგებლო წვლილს შეიტანდა განიარაღების შესახებ მოლაპარაკების წარმატებაში, თუ მიიღებდა რეზოლუციას, რომელიც მოიწონებს ერთობლივ განცხადებას შეთანხმებული პრინციპების შესახებ, და ხელს შეუწყობდა მუშაობისუნაარიანი ორგანოს შექმნას კონსტრუქციული და ნაყოფიერი მოლაპარაკებისათვის — განიარაღების კომიტეტის შექმნას.

უნგრეთის დელეგატმა პეტერ მოდმა აღნიშნა, თუ რა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას ის ფაქტი, რომ ევროპაში ლიკვიდირებული არ არის მეორე მსოფლიო ომის შედეგები. და რომ სწრაფი ტემპით ხორციელდება დასავლეთ გერმანიის შეიარაღებული ძალების ზრდა. მან განაცხადა, რომ საჭიროა აღმოიფხვრას ეს საფრთხე მშვიდობისადმ., დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან. შეეხო რა ფართო მშვიდობლობას, რაც სოციალისტურ უნგრეთში წარმოებს, მოდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნგრელი ხალხი მხურვალედ დაინტერესებულია მშვიდობის განმტკიცებით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა თქვა, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევა უაღრესად კეთილმყოფელ ზეგავლენას მოახდენს ისეთი პრობლემების გადაჭრაზე, როგორიც არის კოლონიალიზმის უსწრაფესი ლიკვიდაცია, ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესება, ქვეყნების ფართო თანამშრომლობის განვითარება.

ნეპალის დელეგატმა კოირალამ კმაყოფილებით აღნიშნა შეთანხმების მიღწევა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის განიარაღების შესახებ მოლაპარაკების ძირითად პრინციპებზე. მან თქვა, რომ საჭიროა დაწესდეს განიარაღების შესახებ მოლაპარაკების დაწყებისა და დამთავრების ვადები, რათა ამ მოლაპარაკებას უფრო საქმიანი ხასიათი მიეცეს.

ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲡ თუ სურს უზრუნველყოს არსებობა, მან უნდა მოიშოროს იარაღი, განაცხადა კამბოჯის წარმომადგენელმა ნონგ კიმნიმ. მან განაცხადა, რომ კამბოჯის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კეთილგაგებულ ბლოკებთან მეუმბრობლობის პოლიტიკა. კიმნიმ მხარი დაუჭირა წინადადებას „არაატომურ სახელმწიფოთა კლუბის“ შექმნის შესახებ. ჩვენ ვაცხადებთ, თქვა მან, რომ არასოდეს არ მივიღებთ ატომურ იარაღს. მოხარული ვიქნებიო, თუ სხვა არაატომური სახელმწიფოებიც ასეთსავე განცხადებას გააკეთებენ. კამბოჯის წარმომადგენელმა თქვა, რომ მისი მთავრობა იბრძვის ატომური იარაღისაგან თავისუფალი ზონების შექმნისათვის, იქნება ეს ევროპაში, თუ სადმე სხვაგან. მთავრობა აგრეთვე მოითხოვს ნეიტრალური ზონების შექმნას, რომლებიც შეასრულებენ ბუფერის როლს ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ქვეყნების ბლოკებს შორის.

კიმნიმ მკაცრად გააკრიტიკა დასავლეთის პრესა ცილისმწამებლური მონაცემებისათვის რაღაც „კომუნისტური ბაზების“ შესახებ კამბოჯის ტერიტორიაზე. მან თქვა, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთი ქვეყანა ამზადებს კამბოჯაზე თავდასხმის გეგმებს, რათა აიძულოს იგი უარი თქვას მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკაზე და დაიპყროს მისი ტერიტორია.

კონგოს (ლეოპოლდვილი) დელეგატმა ისაკ კალონგინმ ხაზი გაუსვა პატარა ქვეყნების მონაწილეობის მნიშვნელობას მოლაპარაკებაში განიარაღების შესახებ.

იაპონიის წარმომადგენელმა აკირა მაცუიმ განაცხადა, რომ მისი დელეგაცია მხარს უჭერს განიარაღების გზაზე არსებულ ცალკე უთანხმოებათა თანდათანობით მოწესრიგებას და არ უარყოფს საყოველთაო და სრული განიარაღების კონცეფციას. მაცუე მიესალმა საბჭოთა კავშირის განცხადებას, რომ იგი მზად არის განაახლოს ქენევის მოლაპარაკება.

ჰოლანდიის დელეგატმა სხიერმანმა თავისი სიტყვა დაიწყო განცხადებით, რომ საყოველთაო და სრული განიარაღება მშვიდობის უზრუნველყოფის ყველაზე გონივრული საშუალებაა. თავისი გამოსვლა მან დაამთავრა მოწოდებით არ აჩქარდნენ განიარაღების მხრივ, წინასწარ ძალისწყალონ განიარაღების „ეკონომიური და სოციალური შედეგები“. მისი სიტყვით, საყოველთაო და სრულ განიარაღებას შეიძლება მოჰყვეს... ახალი კონფლიქტები! „მას შეიძლება მოჰყვეს შინაგანი ცვლილებებიც“, — განაცხადა ჯხიერმანმა. ჰოლანდიის დელეგატის გამოსვლაში აშკარად ისმოდა შიში კაპიტალიზმის ბედისათვის უიარაღო მსოფლიოში.



ᲑᲖᲘᲙᲘᲡ ᲑᲣᲓᲔ.

ნახატი ა. გრუნინისა. საკდესის ფოტოქრონიკა.

ამერიკის შეერთებული შტატები ცინიკური გულახდილობით ასეულ მილიონობით დოლარს ხარჯავენ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ჯაშუშობასა და დივერსიებზე, ქმნიან ეგრეთწოდებულ „პარტიზანულ რაზმებს“, რომლებშიც თავს უყრიან სისხლის სამართლის დამნაშავეებს, თავზეხელაღებულ ავაზაკებს, რომლებიც ფულის გულისათვის მზად არიან ჩაიდინონ ყოვლად ბინძური დანაშაულობანი.

ᲓᲔ ᲒᲝᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲡ ᲐᲭᲚᲐᲠᲣᲜᲔᲑᲡ

პარიზი, 23 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ა. ბარანინი იტყობინება: დღეს სტრასბურგში ორმაის მრავალრიცხოვან დამსტრობთაგან ამ ქალაქის განთავისუფლების მე-17 წლისთავის გამო სათმარი სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა. თავის სიტყვაში იგი შეეხო ომ საკითხს, თუ რა როლი და ადგილი ეკუთვნის საფრანგეთს „ეგრეთწოდებული“ „თავისუფალი სამყაროს“ დაცვაში“, აგრეთვე ალჟირის ალჟირის პრობლემაზე.

გენერალმა დე გოლმა გაიმეორა ის გაცვეთილი მტკიცებანი, რომ „საფრანგეთს აქვს ბოელის საფრთხე“... ტოტალიტარული ბლოკისაგან, რომელიც თითქმის მის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს“, იგი მოუწოდა ეგრეთწოდებულ „თავისუფალ სამყაროს“ უზრუნველყოს „სიმტკიცე“ და „შეკავშირება“, და განაცხადა, რომ საფრანგეთს ახლა განსაკუთრებით „ესაჭიროება თავისი ჯარისკაცები“. ამასთან დე გოლმა ამჯობინა არაფერი ეთქვა რეალურ, და არა მოგონილ, საფრთხეზე, რასაც საფრანგეთის მმართველი წრეების აქტიური ხელშეწყობით რაინის მხარეზე აღორძინებული გერმანული მილიტარიზმი უქმნის.

ზევრ ადგილობრივ მეთვალყურეს მიაჩნია, რომ „ტოტალიტარული ბლოკის“ მხრივ მითუფრ „საფრთხეზე“ მსჯელობა საფრანგეთის პრეზიდენტს მხოლოდ იმისათვის დასჭირდა, რომ როგორმე გაემართლებინა საზოგადოებრივობის თვალში საფრანგეთის მთავრობის მეტად ნეგატიური პოზიცია იმ საკითხში, რომ მოეწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან საკვო საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების შესახებ. საფრანგეთის მთავრობის ეს პოზიცია სულ უფრო არაპოპულარული ხდება არა მარტო თვით საფრანგეთში, არამედ იმ ქვეყნებშიც, რომლებიც მისი პარტნიორები არიან აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში.

გენერალმა დე გოლმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკი „აბსოლუტურად საჭიროა“, და აღნიშნა, რომ საჭიროა დასავლეთის სახელმწიფოები „მეფდამ ათანხმებდნენ ერთმანეთთან პოლიტიკას, რომელსაც მსოფლიოს ყველა ნაწილში ახორციელებენ“, რომ ერთობლივად ამზადებდნენ თავიანთი შეიარაღებული ძალების მოქმედებას და საჭიროების შემთხვევაში ერთიანებდნენ სამხედრო ღონისძიებებს“. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამასთან საფრანგეთმა უნდა შეინარჩუნოს „თავისი სახე და თავისი არმია“.

შემდეგ დე გოლი შეეხო ალჟირის საკითხს და განაცხადა, რომ ალჟირის თვითგამორკვევის უფლებამ უნდა უზრუნველყოს არა მარტო ალჟირის სუვერენული სახელმწიფოს შექმნა, არამედ „ორგანიზებული თანამშრომლობაც ამ ორ ქვეყანას შორის“. პრეზიდენტმა ქება შეასხა საფრანგეთის არმიის მოქმედებას ალჟირში, არმიისა, რომელიც ცეცხლითა და მახვილით ახშობს ალჟირელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

პრეზიდენტის ავტომანქანაში, რომლითაც იგი ოფიციალურ ტრიბუნასთან მივიდა, დე გოლთან ერთად იყო გენერალი მასიუ, რომელმაც საეკვო სახელი მოიხვეჭა აქტიური მონაწილეობით მთავრობის საწინააღმდეგო 1958 წლის მაისის პუტჩში, ახლა კი საფრანგეთის მე-6 სამხედრო ოლქის სარდალია.

ᲣᲘᲚᲘᲐᲛ ᲓᲘᲣᲑᲣᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲐ

ნიუ-იორკი, 22 ნოემბერი. (საკდესი). შეერთებული შტატების კომუნისტურ პარტიაზე რეაქციის მკვეთრი თავდასხმების ვითარებაში მთელ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი და მწერალი უილიამ დიუბუა შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში.

93 წლის მეცნიერმა ჩამოაყალიბა თავისი გადაწყვეტილებების მიზეზები წერილში ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ჰეს ჰოლისადმი.

დოქტორი უ. დიუბუა წერს, რომ პოლიტიკური პრობლემებისა და პოლიტიკური ცვლილებების მრავალი წლის შესწავლის შემდეგ აგრეთვე ბევრ ქვეყანაში მოგზაურობის მეოხებით იგი მივიდა მტკიცე რწმენამდე, რომ „კაპიტალიზმი არ შეიძლება თავისთავად გარდაიქმნას; იგი განწირულია თვითმოსპობისათვის“.

მეორე მხრივ, განაგრძობს დიუბუა, „კომუნიზმი ესწრაფვის ყველა ადამიანს მისცეს ის, რაც მათ უნდათ, და სამაგიეროდ მოსთხოვოს უკეთესი, რის მოცემაც შეუძლიათ; ეს ერთადერთი სწორი ცხოვრების წესია კაცობრიობისათვის. ამ მიზნის მიღწევა აუცილი არ არის — იყო და იქნება შეცდომები, მაგრამ დღეს კომუნიზმი ძლევამოსილად მიაბიჯებს წინ გაბათლებისა და მეცნიერების, საბინაო მშენებლობისა და მატერიალური კეთილდღეობის დარგში... ბოლოს და ბოლოს კომუნიზმი გაიმარჯვებს. მე მინდა დავეხმარო ამ დღის მოახლოებაში“.

დიუბუას წერილი გამოქვეყნდა დღეს ჰეს ჰოლის პასუხთან ერთად, რომელშიც ნათქვამია, რომ კომუნისტური პარტიის ეროვნულ კომიტეტში დიუბუას განცხადებას „დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ“.

ჰოლი აღნიშნავს, რომ დიუბუამ გადაწყვიტა შევიდეს პარტიაში სწორედ იმ მომენტში, როცა შეერთებული შტატების ყველაზე პირწავარდნილმა რეაქციონერებმა გაშალეს კომუნისტების დევნისა და პარტიის დათრგუნვის კამპანია. „ეს მეტად სიმბოლურია პირადი მამაცობისათვის და სახოგადოებრივი მოვალეობისადმი გმირული ერთგულებისათვის, რაც დამახასიათებელი იყო სახალხო საქმისადმი სამსახურისათვის თქვენი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე,“ — ნათქვამია ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის გენერალური მდივნის პასუხში.

ჰოლი ულოცავს გამოჩენილ მეცნიერს პარტიაში შესვლას და შემდეგ წერს: „პარტიის წევრის წოდება სპატიო და ღირსეული წოდებაა, რომლითაც ამაყობენ ყველაზე თავდადებული და შორსმჭვრეტელი ადამიანები“.

თავხედური მოთხოვნა

დასავლეთი ბერლინი, 22 ნოემბერი. (საკდესი). ბონის მთავრობის მინისტრები იყენებენ თავიანთ მგზავრობას დასავლეთ ბერლინში განცხადებებისათვის, რომლებიც მიმართულია ქალაქის მდგომარეობის ნორმალიზაციის წინააღმდეგ.

ბონის შინაგან საქმეთა მინისტრმა ხეხერლმა გუშინ აქ პრეს-კონფერენციაზე მოაწყო, რომელზეც მოითხოვა გამოაცხადონ დასავლეთი ბერლინი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სრულუფლებიან მხარედ. ამასთან იგი ამტკიცებდა, თითქოს დასავლეთი ბერლინი როგორც პოლიტიკური, ისე კონსტიტუციური უფლების თვალსაზრისით, დასავლეთ გერმანიას ეკუთვნოდეს.

ხეხერლმა განაცხადა, რომ ბონის მთავრობა არ აპირებს შემციროს დასავლეთ გერმანიის იმ დაწესებულებათა რიცხვი, რომლებიც უკანონოდ არიან განლაგებული დასავლეთ ბერლინში, ან გადაიყვანოს ეს დაწესებულებები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲜᲢᲝ-ᲓᲝᲛᲘᲜᲒᲝᲡᲗᲕᲘᲡ

ნიუ-იორკი, 23 ნოემბერი. (საკდესი). ტელეგრაფს სულ ახალ-ახალი ცნობა მოაქვს დომინგოელი ხალხის აქტიური გამოსვლების შესახებ, რომელიც აღსდგა ტრუხილიოს ნაბოლარათა სისხლიან დიქტატურის სრული ლიკვიდაციისათვის საბრძოლველად. ამ ძირმობილი რეჟიმის შესანარჩუნებლად ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები არ ერიდებიან აშკარა ჩარევასაც კი დომინგოს რესპუბლიკის საქმეებში და მისი ნაბიჯებისაკენ გაგზავნეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის დიდი ძალები, მათ შორის ავიამზიდი. სანტო-დომინგოდან (ამ სახელწოდებას, რომელიც ჯერ კიდევ კოლუმბმა მისცა, კვლავ ატარებს ახლა დომინგოს დედაქალაქი, რომელსაც მეოთხედი საუკუნის მანძილზე უწოდებდნენ „სიუდად-ტრუხილიოს“) მიღებული უკანასკნელი ცნობები მოწმობენ, რომ ამერიკის სამხედრო ხომალდების ზარბაზნებმა ვერ შეაშინა პატრიოტები.

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოებიც კი იძულებული არიან აღიარონ სანტო-დომინგოში მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების მასობრივი ხასიათი. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, „აღშფოთებული დომინგოელები“ გუშინ წაიღებენ პრეზიდენტის სასახლისაკენ და წარმოთქვამდნენ ლოზუნგებს ამერიკელთა აგენტის ბალაგერის წინააღმდეგ. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, რომ დომინგოს დედაქალაქის სახლების კედლებზე გაჩნდა ლოზუნგები „ძირს ბალაგერი“, „დომინგოს რესპუბლიკა — მო, იანკი — არა!“ დიქტატურის წინააღმდეგ გამოდის პარტია „14 ივნისის რევოლუციური მოძრაობა“, რომელმაც მთელ სახელმწიფოში გაავრცელა განცხადება, რომელიც გმობს ბალაგერს და აღნიშნავს, რომ იგი მიეყიდა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებს და არავითარ ზომას არ იღებს იმის წინააღმდეგ, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ფლოტი და ავიაცია აშკარად არღვევენ დომინგოს რესპუბლიკის ტერიტორიულ წყლებსა და სამაერო სივრცეს“.

მერგე წელია აღეკრილი ხალხი თავდადებულად იბრძვის თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ.

სოციალისტური ქვეყნები, მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები, არაბთა ქვეყნები, აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის ხალხები გამოთქვამენ თავიანთ სოლიდარობას თავისუფლებისათვის მებრძოლი ალჟირელი ხალხისადმი.

ამ დღეებში მაროკოსა და ტუნისში გაიმართა სოლიდარობის დემონსტრაციები.

სურათზე: დემონსტრანტთა კოლონა ტუნისში.

ფოტო კეისტონის სააგენტოსი.

ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲗᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ

ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐᲖᲔ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲕᲗᲝ ᲬᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ გამოჩენილ ოსტატს, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარს ქეთევან მაღალაშვილს ფართოდ იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა. მისი შესანიშნავი პორტრეტები არაერთხელ იყო ექსპონირებული გამოფენებზე, რომლებიც ამ ორი ათეული წლის მანძილზე ეწყობოდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ახლა კი ქართული ფერწერული ხელოვნების უფროსი თაობის წარმომადგენელი მთელი თავისი მდიდარი „ჟირნახულით“ წარსდგა თბილისელების წინაშე — საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერიაში გაიხსნა მის ნაწარმოებთა გამოფენა.

ათვალიერებთ გამოფენის დარბაზებში დიდი გემოვნებით განლაგებულ ექსპოზიციას, და თქვენს თვალწინ იშლება ქართველი მხატვარი ქალის მდიდარი ფანტაზია, გაოცებთ მის მიერ ფერთა შეგრძნობის სიძლიერე, ადამიანთა შინაგანი სამყაროს ოსტატური გადმოცემა.

კედლებიდან შემოგყურებთ ადამიანთა სახეები. ესენი არიან ჩვენი თანამედროვეები — ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების, მუსიკის გამოჩენილი მოღვაწეები, მუშები, კოლმეურნეები. სხვადასხვა წლებში შექმნილი ეს პორტრეტები გხიბლავთ თავისი უბრალოებითა და სისადავით.



ძნელია თქმა იმისა, რომელი პორტრეტი უფრო ძლიერია — პიანისტ ელისო ვირსალაძის გასულ წელს შესრულებული პორტრეტი თუ ადრინდელი — მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის სურათი, კურდღელაურის ღვინის ქარხნის მუშის ზ. ლეკიშვილისა თუ მხატვარ ელენე ახვლედიანის სურათი. ძნელია ყველას ჩამოთვლა. აქ ასზე მეტი პორტრეტია ექსპონირებული.

ჩვენი სასიქადულო პორტრეტისტი ქალი უკანასკნელ ხანებში დიდი გატაცებით მუშაობს პეიზაჟების შესაქმნელად. მხატვარი ხატავს თბილისის მიდამოებს, მის ძველსა და ახალ უბნებს, ხატავს თელავს, გრემის ნაქალაქარს. რაოდენი სითბო და ლირიზმია ჩაქსოვილი თვითეულ ნაწარმოებში. გამოფენაზე მრავლად არის წარმოდგენილი პეიზაჟები და ნატურმორტები.

ქეთევან მაღალაშვილის ნაწარმოებთა გამოფენას დიდი ინტერესით შეხვდა თბილისის საზოგადოებრიობა. ყოველდღე მას მრავალი მნახველი ათვალიერებს.

• • •

სურათზე: ქეთევან მაღალაშვილის მიერ შესრულებული მსახიობ სერგო ზაქარიაძის და პიანისტ ელისო ვირსალაძის პორტრეტების რეპროდუქცია.

ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲒᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲛᲝᲘᲜᲐᲓᲘᲠᲔᲡ

ᲐᲛᲐᲡ წინათ ყამირი მიწებიდან დაბრუნდა ჯგუფი საქართველოს სსრ მსახიობებისა, რომლებიც მონაწილეობდნენ ორენბურგის ოლქში გამართულ კონცერტებში. როგორც მიღებული შეფასებებიდან ჩანს, კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა. აი, მაგალითად, ერთერთი ასეთი შეფასება:

„ორენბურგის ოლქის ყამირ მიწებზე კონცერტებში მონაწილეობისათვის საქართველოდან გამოგზავნილმა ხელოვნების ოსტატთა კოლექტივმა, რომელშიც შედიოდნენ რეხპუბლიკის დამსახურებული არტისტები მ. ბუბუტეიშვილი, შ. თაბუკაშვილი, შ. ვაშალომიძე, მსახიობები ვ. მინდიაშვილი, ვ. პეკელისი, ტ. ჭანტურია და სხვ. თავი გამოიჩინა როგორც განსაკუთრებით პროფესიულმა, დისციპლინიანმა კოლექტივმა. მიუხედავად მთელი სირთულისა, რაც გამოწვეული იყო შორი მანძილით და ამინდის არახელსაყრელი პირობებით, მსახიობები დღეში ორ-ორ კონცერტს მართავდნენ და ორივე კონცერტს მაღალ მხატვრულ დონეზე ატარებდნენ. ამით მათ მოინადირეს მაყურებლები, სადაც კი გამოდიოდნენ: საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, მაღაროებში, კულტურის მუშაოთა სახლებში — ყველგან უდიდესი წარმატება ჰქონდათ, ყველგან სთხოვდნენ კიდევ ჩავიდნენ გაზაფხულზე. ჩვენი ოლქის მშრომელების მიერ გამოთქმული საუცხოო შეფასება მოწმობს, რომ საქართველოდან ჩვენში ჩამოსულნი არა მარტო კარგი მსახიობები, არამედ საბჭოთა ქვეყნის ღირსეული მოქალაქენი და პატრიოტებიც არიან.

გვწერს ორენბურგის საოლქო ფილარმონიის რწმუნებული ფ. ვ. ახმეროვი.

— ყოველდღიურად სიხარულით მოველით ბავშვებს, ჩვენს მომავალს, ჩვენს შემცვლელებს, — ღიმილით გვეუბნება ქარხნის კერამიკული საამქროს უფროსი, თმაშეერცხლილი ლიზა მოსულიშვილი, — ვაკვირდებით მათს ინტერესს, — ზოგს მოდელის გამოჭრა სურს, ზოგს მოხატვა-მოჭიქურება ეხერხება, ზოგი კიდევ მასალის მომზადებას დასტრიალებს თავს, და ყველა თავის უნარის მიხედვით ეუფლება პროფესიას. ჩვენთან პირველად როდი არიან მოსწავლეები, აქ 130-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მუშის მეორე, მესამე, მეოთხე თანრიგი. 64-ე საშუალო სკოლის მოსწავლეების ვ. ქათამაძის, ვ. დავითაშვილის, ვ. მელაშვილის ზოგიერთი ნამუშევარი არაფრით არ ჩამოუვარდება გამოცდილი ოსტატის ნაწარმოებს.

სასწავლო კორპუსი შექმნა ქარხანაში კარგი წამოწყებაა და მას ყოველმხრივ უნდა შეეფუფყოთ ხელი.

აქ ბავშვები იძენენ ცხოვრებისათვის აუცილებელ შრომითს ჩვევებს, ეუფლებიან პროფესიას. გაივლის წლები, და ალბათ ბევრი მათგანი ქარხნის გამოჩენილი სპეციალისტების საამაყო ცვლა იქნება.

• • •

საბურთალოს აგურის ქარხანა. სურათზე: თბილისის № 60 საშუალო სკოლის მოსწავლეები მ. გოგლიძე (მარჯვნივ) და გ. მღვდელაძე ამზადებენ თიხის ნაკეთობას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ᲐᲥ ᲘᲬᲔᲓᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ

ᲓᲘᲚᲐᲐᲓᲠᲘᲐᲜ მოზარდების ყივილ-ხივილით ივსება თბილისის საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის ეზო. გოგონები და ბიჭები მხიარულად მიეშურებიან ქარხნის ტერიტორიაზე ახალაგებული ლამაზი ორსართულიანი სასწავლო კორპუსისაკენ, რომელიც მათ საჩუქრად მოუმზადა ქარხნის დირექციამ. ესენი თბილისის მე-60 და 64-ე საშუალო სკოლების მოსწავლეები არიან, რომლებიც სავალდებულო საწამოო სწავლებას გადიან ამ ქარხანაში.

მოსწავლეთა განკარგულებაშია ვრცელი და ნათელი საკლასო ოთახები და სახელოსნოები თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყო-იარაღებით, კერამიკული ნაწარმის ნიმუშები, სპეციალური განყოფილება, სადაც დგას თიხის ნაწარმის ამომყვანი და გამწმენდი, გამპრიალებელი და მბრუნავი ჩარხები და სხვ.

აქ IX-X-XI-კლასელები პრაქტიკულ სწავლებასთან ერთად თეორიულ კურსსაც გადიან. მოსწავლეები სწავლობენ კერამიკის ტექნოლოგიას, მანქანათმცოდნეობას, ელექტრობას, მექანიკას, ეცნობიან აგურის დამზადების ტექნოლოგიას და ა. შ.

მოსწავლეთა პრაქტიკული დაოსტატებისათვის ზრუნავენ ქარხნის გამოცდილი სპეციალისტები. მათი უშუალო დახმარებითა და მეთვალყურეობით ბავშვებს გამოჰყავთ მხატვრული სურები, ლარნაკები, ჯამები და სხვ. უყურებთ მათ პირველ ნახელავს, და თვალს არ უჯერებთ, რომ ეს მათი დამზადებულია.

— ყოველ ... ბავშვებს, ...